სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

თებერვალი 2018

აღნიშნულ ბიულეტენში განხილულია:

- თებერვლის თვეში სასტუმროების ფასები[1] რეგიონების მიხედვით;
- სასტუმროების ფასების ინდექსი[2] 2018 წლის თებერვალში 2018 წლის იანვრის თვესთან შედარებით;
- სასტუმროთა ფასების ყოველთვიური ცვლილება 2017 წლის ნოემბერი- 2018 წლის თებერვლის პერიოდში.

სასტუმროების საშუალო ფასები

2018 წლის თებერვლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით 3 ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **136 ლარი** შეადგინა. სამ ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი დღიური განაკვეთი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაფიქსირდა (საშუალოზე 56%-ით მაღალი).

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა თებერვალში **198 ლარი** შეადგინა. იანვრის მსგავსად, საშუალოდ ყველაზე ძვირი 4-ვარსკვლავიანი სასტუმროები მცხეთა-მთიანეთის რეგიონშია (საშუალოზე 52%-ით მაღალი).

5 ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო დღიურმა განაკვეთმა 2018 წლის თებერვლის თვეში **363 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 591 ლარი შეადგინა, კახეთში - 297 ლარი, აჭარაში - 207 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 358 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[3] საშუალო ფასმა თებერვლის თვეში **86 ლარი** შეადგენა. თებერვალში ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში ქვემო ქართლის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში დაფიქსირდა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროების ფასების ინდექსი

სასტუმროების ფასების ინდექსი[2] 2018 წლის თებერვალში, იანვრის თვესთან შედარებით, 2.2%-ით შემცირდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები, იანვრის ფასებთან შედარებით, ყველაზე მეტად შემცირდა რაჭაში და თბილისში, ფასების ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთში. დანარჩენ რეგიონებში ფასებმა სტაბილურობა შეინარჩუნა.

აღსანიშნავია, რომ თებერვალში, იანვართან შედარებით საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა მხოლოდ 1%-ით შემცირდა, ხოლო 24 საათით და მეტი დროით (ტურისტი), თებერვალში იანვართან შედარებით, საქართველოში 6%-ით ნაკლები საერთაშორისო ვიზიტორი გაჩერდა[4]. თებერვალში სასტუმროთა ფასების მცირედი ცვლილება ნაწილობრივ ამ ფაქტით შეიძლება აიხსნას.

3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, 3.2%-ით შემცირდა. მოცემული ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად შემცირდა სამცხე-ჯავახეთში და თბილისში.

რაც შეეხება საოჯახო ტიპის სასტუმროებს, ფასების დონე აღნიშნული ტიპის სასტუმროებში 2018 წლის თებერვალში იანვართან შედარებით, უმნიშვნელოდ შემცირდა (0.9%-ით). რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად რაჭაში შემცირდა.

PMCG Research | Sopho Basilidze | research@pmcg.ge | s.basilidze@pmcg.ge | +995 32 2 921 171 | www.research.pmcg-i.com

რეგიონი	სასტუმრო	3*, 4*, 5*	საოჯახო
რაჭა	-5.0%		-5.0%
თბილისი	-3.9%	-4.5%	-1.6%
სამცხე-ჯავახეთი	-1.9%	-9.1%	1.6%
აჭარა	-1.2%	-1.2%	-1.2%
გურია	-1.0%	-2.3%	-0.1%
იმერეთი	0.4%	3.7%	-1.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.7%	3.5%	-0.4%
კახეთი	1.6%	0.5%	1.8%
შიდა ქართლი	1.6%		1.6%
ქვემო ქართლი	1.9%	3.1%	0.0%
მცხეთა-მთიანეთი	2.5%	3.2%	2.0%
სულ ფასების % ცვლილება	-2.2%	-3.2%	-0.9%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის თებერვალში 2018 წლის იანვრის ფასებთან შედარებით

სასტუმროს ფასების დინამიკა:2017 ნოემბერი-2018 თებერვალი



გრაფიკი 2: სასტუმროს ფასების ყოველთვიური ინდექსი

2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით, სასტუმროების ფასების ყოველთვიური ზრდა მხოლოდ დეკემბერში დაფიქსირდა (9.3%). ამავდროულად, სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ყველაზე მაღალი საშუალო ფასები, დანარჩენ სამ თვესთან შედარებით, ყველა ტიპის სასტუმროში სწორედ დეკემბერში დაფიქსირდა.

საქართველოს მასშტაბით, სასტუმროთა ფასები ყველაზე მეტად, წინა თვესთან შედარებით, იანვარში შემცირდა (6.4%-ით). თვეების მიხედვით, სამ ვარსკვლავიანი სასტუმროების ყველაზე დაბალი ფასი დაფიქსირდა იანვარში, ოთხ და ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმროების-თებერვალში, ხოლო საოჯახო სასტუმროების-ნოემბერში.

მოცემული ოთხი თვის განმავლობაში სამი, ოთხი და ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებთან შედარებით, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები ნაკლებად იცვლებოდა.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	I 2016	II 2016	III 2016	IV 2016	2016	I 2017*	II 2017*	III 2017 *	IV 2017 *	2017
1	436.5	489.3	559,1	493.4	1978.3	458.7	549	647.7		
2	1136.7	1505	2245.1	1473.8	6360.5	1266.1	1730	2826.7	1731.2	7554.9
3	408.5	606.3	1146.6	559.6	2721	513.6	796.3	1473.6		
4	352.5	515.4	817.2	481.2	2166.3	434.6	658.8	1081.1		
5	83.1	103	107.8	92.4	386.3	81.4	109.5	152		
6	8.3	0.8	12.5	35.3	56.9	16.1	31.7	30.6	11.6	90

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების ძერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია.

2 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).

3 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

4 ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიხედვით, მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს 440,806 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია, აქედან 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში 177,845 ვიზიტორი გაჩერდა. 2018 წლის იანვარში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 444,421 -ს შეადგენდა, ხოლო ამათ შორის 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში 189,476 ვიზიტორი გაჩერდა.